

3

საქართველოს  
საერთაშორისო საგანმანათლებლო  
აქტივობების

SOROS EDUCATIONAL JOURNAL

სფუდუნებითა  
და ასპირანტურით  
კონსერვაციის - კონსერვისი

2003

ISSEP სტრატეგიული საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამის  
INTERNATIONAL SOROS SCIENCE EDUCATION PROGRAM



# სოროსის საგანმანათლებლო ჟურნალი

SOROS EDUCATIONAL JOURNAL

სტუდენტთა და ასპირანტთა კონფერენცია - კონკურსის მასალები

წინათქმა.....	3
გ. გ. თუმანიშვილი – საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის დამკვიდრების პრობლემა საქართველოში .....	4
ვ. ა. ჭაჭუა – სასამართლო რეფორმის ზოგიერთი ინსტიტუციური ხარვეზის შესახებ .....	11
ი. დ. პეტრიაშვილი – ომბუდსმენის ინსტიტუტი თანამედროვე საქართველოსა და მსოფლიოში .....	19
რ. თ. ტაბატაძე – სხვათა უფლებები და რეპუტაცია, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი საფუძველი.....	26
ნ. ი. გოგილიძე – გეოგრაფიული აღნიშვნების სამართლის თანამედროვე პრობლემები საქართველოში .....	32
რ. ი. ახალაია – Erga omnes ვალდებულებები, jus cogens ნორმები და actio popularis თანამედროვე საერთაშორისო სამართალში.....	41
თ. ვ. სოხაძე, რ. ფ. ჯორბენაძე – წამალთდამოკიდებულების საეარაუდო რისკ-ფაქტორების გამოვლენა და მათი პირველადი და მეორადი პრევენციის შესაძლო გზები .....	48
დ. თ. სუდაძე – ენდემური ჩიყვის გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში და მათი პროფილაქტიკის გზები .....	52
ი. დ. სხორტლაძე, ი. მ. კილაძე – პირველადი ჯანდაცვის ქსელის ექიმთა გრენინგებისა და მოსახლეობის პროფილაქტიკური გასინჯების როლი ონკოდაავადებათა აღრეულ დიაგნოსტიკაში .....	57
გ. ვ. მახარაძე, მ. ხ. ჭინჭარაული, ა. თ. ომანაძე – ექვტორული არგუმენტის სარგებლიანობის ფუნქცია და მისი გამოყენება .....	61
ა. გ. გუგუშვილი – ეკონომიური განვითარების კულტურული ფაქტორი.....	66
გ. უ. სამადაშვილი – ლარის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშემშლელი ფაქტორები, პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები.....	74
ნ. დ. ქურდიანი – გადასახადების შემცირების პერსპექტივები საქართველოში.....	80
ლ. გ. პაჭკორია, ლ. გ. ბლიაძე – ძალადობის პრობლემა ქართულ პოლიტიკაში.....	87

თბილისი 2003 TBILISI

ISSEP

სოროსის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა  
INTERNATIONAL SOROS SCIENCE EDUCATION PROGRAM

მსაპარი რედაქტორი  
ელერი სოფერი - უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის  
საპატიო წევრი, პროფესორი

სარედაქციო კრულები  
თეიმურაზ ჭანიშვილი - აკადემიკოსი (მთავარი რედაქტორის  
მოადგილე)  
კობა იმედაშვილი - (მთავარი რედაქტორის მოადგილე)

ნოდარ ამაგლობელი - აკადემიკოსი  
ჯუმბერ ლომინაძე - აკადემიკოსი  
თეიმურაზ ანდრონიკაშვილი - აკადემიკოსი  
ალექსანდრე კარტოზია - პროფესორი  
დავით ალადაშვილი - პროფესორი, სოროსის  
სატანამანათლებლო პროგრამის კოორდინატორი  
თამარ ხულორდავა - სოროსის სატანამანათლებლო  
პროგრამის აღმასრულებელი დირექტორი  
მისხილ ჩაჩხუნაშვილი - ფონდის „ღია საზოგადოება -  
საქართველო“ აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე

#### საექსპერტო საბჭო

მათემატიკა  
დავით ნატროშვილი -  
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ფიზიკა  
ნოდარ კეკელიძე -  
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მეცნიერება დედამიწის შესახებ  
შოთა სიდამონიძე - ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

ბიოლოგია  
ნინო ჭანიშვილი - ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

მეცნიერება დედამიწის შესახებ  
შურაბ ჯავახიშვილი - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა  
კანდიდატი

მხატვარი  
ალექსანდრე სარჩიმელიძე

ენგერა მოგვაძუს  
ზაალ ასკურავა  
ხათუნა მახარაძე  
მიმოზა ძიძიგური

#### რედაქციის მისამართი

380009, ჭოველიძის 10\*, ოთახი 107, ტელ.: 913-496  
რეგისტრაციის №5/8-75 22.12.97. რეგისტრირებულია ეკის რაიონის  
სასამართლოს მიერ, ნებართვა № 763.23.12.97. საიდენტიფიკაციო კოდი  
204909251.

ეურნალი გამოშვებულია სოროსის საერთაშორისო  
სატანამანათლებლო პროგრამის მიერ. გირაჟი 1000 ეგმ.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.12.2003.  
დაბეჭდილია გზით „საქართველოს მაცნეს“ სტამბაში  
ტრობაქიძის 7\*

ქრნალი მრედელება უსასრულ

#### EDITOR-IN-CHIEF

Valeri Soyfer - Foreign Member of Ukrainian Acad. Sci.,  
Distinguished Professor

#### EDITORIAL BOARD:

Teimuraz Chanishvili - Academician - (Deputy editor-  
in-chief)

Koba Imedashvili - (Deputy editor-in-chief)

Nodar Amaglobeli - Academician

Djumber Lominadze - Academician

Teimuraz Andronikashvili - Academician

Alexander Kartoziya - Professor

David Aladashvili - Professor, Coordinator of ISSEP

Tamar Khulordava - Executive Director of ISSEP

Michael Chachkhunashvili -

“Open Society - Georgia Foundation” - Chairman of the  
Executive Board

#### EXPERT COUNCILS

##### MATHEMATICS

David Natroshvili - Dr.ph.math.sc.

##### PHYSICS

Nodar Kekelidze - Dr.ph.math.sc.

##### CHEMISTRY

Shota Sidamonidze - Dr.chem.sc.

##### BIOLOGY

Nino Chanishvili - Dr.biol.sc.

##### EARTH SCIENCES

Zurab Javakhishvili - Dr.geol.sc.

##### DESIGNER

Alexander Sarchimelidze

##### JOURNAL WAS MADE BY:

Zaal Askurava  
Khatuna Makharadze  
Mimoza Dzidzigiuri

THE PROBLEM OF A CONSOLIDATION OF MARRIAGE INSTITUTE IN GEORGIA

G. TUMANISHVILI

საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის დამკვიდრების პრობლემა საქართველოში

გ.გ. თუმანიშვილი  
ი. ჯაფარიძის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესავალი

წინამდებარე საკონფერენციო ნაშრომში განხილულია საქორწინო ხელშეკრულება, როგორც მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ნაირსახეობა.

საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი სიახლეა ჩვენს სამოქალაქო სამართალში. იგი მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების საკითხისადმი ახლებურად მიდგომის შესაძლებლობას იძლევა. ნაშრომში განხილულია მემოსხენებელი ხელშეკრულების საერთაშორისო კერძო სამართლებრივი, სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ან პირიქით, ხელს უშლიან აღნიშნული სამართლის ინსტიტუტის დამკვიდრებას საქართველოში.

1997 წლიდან 2003 წლის 1 იანვრამდე საქართველოში სანოტარო წესით დამოწმებულია 7 საქორწინო კონტრაქტი. ამათგან 5 შემთხვევაში კონტრაქტის ხელმოწერი ერთ-ერთი მხარე უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ხოლო ორ შემთხვევაში ორივე მხარე საქართველოს მოქალაქეები არიან. აღნიშნული რიცხვი დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ მცირეა.

In this work marriage contract is examined, as the sort of a proprietary relationship between husband and wife, also there is examined nature of the law of the marriage contract, as well as its social- psychological aspects. Attention is paid on the questions connected with mentality, national conscience and also about founding marriage contract institute.

ნაშრომში განხილულია საქორწინო კონტრაქტი, როგორც მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ნაირსახეობა. განხილულია საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივი ბუნება, ასევე მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები, გამასვილებულია ყურადღება მენტალობისა და ეროვნული ცნობიერების საკითხებზე, საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის დამკვიდრებისა და მისი რაობის შესახებ.

მემოადნიშნულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გამოეთქვამთ მოსაზრებას, რომ საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტმა ჯერ ვერ დაიმკვიდრა სათანადო ადგილი ქართული საზოგადოების სინამდვილეში. უკანასკნელის მიზეზად ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ:

1. საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე (საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის შესახებ);
2. მენტალური ელემენტი;
3. გამომდინარეობს პირველი ორი მიზეზიდან: საქორწინო კონტრაქტის შესაძლებლობების და საშუალებების არცოდნა და შესაბამისად მერეულად შეუასება.

ნაწილი I

საქორწინო კონტრაქტი არის ორმხრივი გარიგება, დადებული დასაქორწინებელ პირებს ან მეუღლეებს შორის, რომელიც განსაზღვრავს მეუღლეების ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას.

საქორწინო ხელშეკრულება წარმოადგენს საოჯახო სამართლებრივ გარიგებას, (მაგრამ თავის არსში ასევე მეტად წააგავს ვალდებულებით სამართლებრივ გარიგებას). იგი გამოირჩევა თავისი სპეციფიურობით, რასაც განაპირობებს ხელშეკრულების მხარეები (მეუღლეები და დასაქორწინებელი პირები), ხელშეკრულების შინაარსი და ხელშეკრულების საგანი. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საქორწინო ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს: მხარეთა ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის თავისუფლება, გარიგების შინაარსის კანონიერება, დადგენილი ფორმა.

საქორწინო ხელშეკრულების საგნის სპეციფიურობა გახლავთ ის გარემოება, რომ

ხელშეკრულების პირობები შეიძლება ეხებოდ არამარტო უკვე არსებულ, არამედ მომავალ ქორწინების განმავლობაში მეუღლეების მიერ შეძენილ ნივთებსა და უფლებებს.

საქორწინო ხელშეკრულება და ქორწინო მკიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. ამ მაგალითად: თუ ქორწინების არსებობა საქორწინო ხელშეკრულების გარეშე შესაძლებელია, საპირისპირო ანუ საქორწინო ხელშეკრულების არსებობა ქორწინების გარეშე შეუძლებელია.

საქორწინო ხელშეკრულების ობიექტად ჩვე გვევლინება ქონებრივი, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქონებიდან და ქონების შესახებ წარმოქმნილი უფლებები და მოვალეობები კანონის მიხედვით, კერძოდ კი, საქართველო სამოქალაქო კოდექსის 1172 მუხლის თანახმად მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას.

საქორწინო ხელშეკრულების დადება საეალდებულო არ არის, იგი მეუღლეთა სურვილზეა დამოკიდებული, მაგრამ თუ ხელშეკრულება დაიდება, იგი მეუღლეთა შორის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების განაწილების სამართლებრივი საფუძვლის ხასიათს იძენს და უნდა პასუხობდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის კანონით წაყენებულ ზოგად მოთხოვნებს. მეუღლეებს უფლება აქვთ არ გააფორმონ საქორწინო ხელშეკრულება, ასეთ შემთხვევაში მათი ქონებრივი ურთიერთობები მოწესრიგდება კანონის მოთხოვნათა მიხედვით.

საქორწინო ხელშეკრულების ძირითადი ნაწილი გახლავთ მისი შინაარსი. იგი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ნაწილისაგან. ასე მაგალითად, მის ზოგად ნაწილში შეიძლება

გ. თუშანიშვილი საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის დამკვიდრების პრობლემა საქართველოში

პი  
ას  
ტი

ში  
ა,  
ტი  
ოი

ვი  
ტი  
ას  
ის  
ია  
ოი  
და  
უს  
ვი  
ას

უე  
ით  
კი.  
რი  
ლო  
ის  
ის  
კა.  
—

გადმოცემული იყოს საერთო ხასიათის ის დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ საქორწინო ხელშეკრულებისა და მოქმედი საოჯახო კანონმდებლობის თანაფარდობის საკითხს, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ვალდებულებებს ქორწინების შენარჩუნებისა და საოჯახო ურთიერთობათა განმტკიცების სფეროში, განქორწინების შემთხვევისათვის თანაბარი საკუთრების ობიექტებზე ინდივიდუალური ქონების რეჟიმის დაწესებას, განქორწინებაში თითოეული მეუღლის ბრალეულობის გათვალისწინებას და სხვ. ხელშეკრულების შინაარსის ძირითად ნაწილში შეიძლება განისაზღვროს მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების ცალკეული სახეების სამართლებრივი რეჟიმი. ხელშეკრულებაში შეიძლება, აგრეთვე, გათვალისწინებულ იქნას დამატებითი პირობები. საქართველოს მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1176-ე მუხლი ეძღვნება საქორწინო ხელშეკრულების შინაარსს. შემოადნიშნული მუხლი ამბობს, რომ საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე; საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ შეცვალონ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის კანონით დადგენილი წესი; მეუღლეებს შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელშიც ჩაირიცხება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებაც (საერთო ქონება ან მთლიანად, ან ნაწილობრივ თქვან უარი ამგვარ გაერთიანებაზე და დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე).

ქორწინების პერიოდში მეუღლეებმა შეიძლება სხვადასხვა დროს შეიძინონ ესა თუ ის ქონება. მათ უფლება აქვთ არაერთგვარი სტატუსი განუსაზღვრონ თითოეულ მათგანს. ამიგომ

საესებით შესაძლებელია მეუღლეთა შორის დაიდოს რამდენიმე ხელშეკრულება როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე.

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება მოიცავდეს მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის სამი სახის საკუთრებას – თანაბიარს, ინდივიდუალურსა და წილობრივს. შემოადნიშნული ხელშეკრულების დადებით, მეუღლეებს უფლება აქვთ მხედველობაში არ მიიღონ კანონის მიერ საერთო საკუთრებისათვის დადგენილი რეჟიმი და აღნიშნული საკითხი გადაწყვიტონ თავიანთი მხედველობისამებრ. მაგალითად, შესაძლებელია საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნას ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების არააბრატად გაყოფა ან თითოეული მათგანის მიერ საერთო-საოჯახო მიზნებისათვის შეძენილი ქონების ჩათვლა შემქმნის ინდივიდუალურ საკუთრებად. აგრეთვე, შესაძლებელია, ხელშეკრულების დადებით მეუღლეთა ინდივიდუალურმა საკუთრებამაც შეიცვალოს თავისი ბუნება.

მეუღლეები უფლებამოსილი არიან, საკუთარი მხედველობისამებრ, დაადგინონ რეჟიმი, რომელიც მოიცავს ქონების განცალკევებისა და მათი ერთიანობის ცალკეულ ნიშნებს. მაგალითად, მეუღლეთა მიმდინარე შემოსავალი მომავალში შეიძლება იყოს მეუღლეთა საერთო საკუთრება, ხოლო სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება კი – განცალკევებული. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება ეხებოდეს როგორც მომავალში მეუღლეთა მიერ შეძენილ მთელ ქონებას, ისე მის ცალკეულ სახეებს.

ხელშეკრულებაში მეუღლეებმა შეიძლება გაითვალისწინონ წილობრივი ხასიათი ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე, მათ შორის, საცხოვრებელ ფართზე. მაგალითად,

ის  
რც  
წ  
ბა  
ლი  
ის  
და  
ის  
კთ  
ხო  
და  
თი  
ლია  
ას-  
კში  
ან  
ხო  
ლა  
ვე-  
ით  
მაც  
არი  
ლი  
ითი  
ად,  
ღში  
ება,  
ვის  
ლი.  
დეს  
ილ  
ება  
ათი  
მათ  
ად,

საქორწინო ხელშეკრულებაში მეუღლეებს შეუძლიათ მიუთითონ, რომ ქორწინების განმავლობაში შექმნილ მთლიან ქონებაზე ან უძრავ ქონებაზე, შეიძლება მიეთითოს საცხოვრებელ ბინაზე და ა.შ. ერთი მეუღლის წილი შეადგენდეს 1/4-ს, ხოლო მეორის - 3/4. ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ თითოეული მათგანის მიერ შექმნილი ქონება შეადგენდეს მის ინდივიდუალურ საკუთრებას.

საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე მეუღლეებმა შეიძლება გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება. ასეთ ქონებაში ჩაირიცხება არა მარტო ინდივიდუალური საკუთრების ობიექტები, არამედ თანაზიარი საკუთრებაც. შესაძლებელია არა მთელი ქონების, არამედ ინდივიდუალური და თანაზიარი საკუთრების მხოლოდ ნაწილის გაერთიანება. დანარჩენი ნაწილი კვლავ შეინარჩუნებს კანონით მისთვის დადგენილ სამართლებრივ რეჟიმს. რაც შეეხება გაერთიანებულ ქონებას, იგი მეუღლეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება იყოს მათი საერთო საკუთრება, როგორც თანაზიარი, ისე წილობრივი ფორმით. თუ მხარეები უარს იტყვიან მთელი ქონების ან მისი ნაწილის გაერთიანებაზე, მათ შესაძლებლობა აქვთ ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონების მიმართ დააწესონ წილობრივი ან განცალკევებული ქონების სამართლებრივი რეჟიმი.

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს მხარეთა შემოსაღებში მონაწილეობის შესაძლებლობასაც. მაგალითად: ერთი მეუღლე ხელშეკრულებით იღებდეს ვალდებულებას სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნახევარი გადასცეს მეუღლეს, ხოლო ის კი იღებდეს ვალდებულებას მის მიერ მიღებული დივიდენდების მეუღლისათვის გადაცემის შესახებ.

მეუღლეებს ასევე შეუძლიათ განსაზღვროს საოჯახო ხარჯების გაწევის წესიც. ა მაგალითად, შესაძლებელია საერთო შემოსავლებიდან ყოველწლიური დასასვენებელი უზღავი სახსრების გამოყოფა /საკომუნიკაციო ხარჯები, ბავშვის განათლებაზე გადახდილი ხარჯი და სხვა/.

საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი მნიშვნელოვან და აქტუალურ ნაწილს შეადგენ მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევაში.

ჩვენის აზრით, უკანასკნელი (მეუღლეების ან დასაქორწინებელი პირების მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევაში) არის მეტად მნიშვნელოვანი, რადგან მეუღლეებს შეუძლიათ თავიდანვე განსაზღვრონ ქონების ესა თუ ის ცალკეული ნაწილი რომელ მხარეს დარჩება განქორწინებისას. აღნიშნულის გათვალისწინება საქორწინო ხელშეკრულებაში აადვილებს განქორწინებისას ქონებრივი დავის გადაწყვეტას, რადგანაც ქონება ან ქონების ცალკეული ნაწილები, რომელზედაც მათ პოტენციურად შეიძლება პქონდეთ დაეა, განსაზღვრულია და მას შესაძლებელია საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით უკვე პქონდეს დაწესებული საკუთრების გარკვეული რეჟიმი.

მოგვიერ დასაქორწინებელი პირები (ან უკვე მეუღლეები) ცდილობენ შეთანხმებები გააერთიანონ პირადი ურთიერთობის სუერობაც. მაგალითად, არც თუ ისე იშვიათად მხარეები წინასწარ თანხმდებიან იმაზე, თუ როგორ უნდა ააგონ პირადი ურთიერთობები მომავალში, უყვარდეთ ერთმანეთი, იყვნენ მეუღლის ერთგულნი, არ დაუშვან დალაგა, რამდენი შეილი უნდა იყოს და სხვ. უფრო მეტი, თანხმდებიან, თუ ვინ უნდა დარეცხოს ჭურჭელი,

ა. თუშანიშვილი საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის დამკვიდრებელი პროფესორი საქართველოში

დაალაგოს ბინა და საერთოდ როგორ წარმართონ საოჯახო საქმიანობა.

პირად ურთიერთობათა სფეროში არსებულ საკითხთა წრე იმდენად უართოა, რომ ადამიანებს აქვთ საშუალება თავიანთი შეხედულებით განსაზღვრონ ისინი, მაგრამ ამავე დროს, ეს ის საკითხებია, რომლებიც სამართლებრივი თვალსაზრისით მოკლებულია სასარჩელო დაცეას. ამგვარად, საქორწინო ხელშეკრულების შინაარსში დაუშვებელია რეგულირებულ იქნეს მეუღლეთა პირადი, არაქონებრივი უფლება-მოვალეობები.

რაც შეეხება საქორწინო ხელშეკრულების მოქმედების ვადას, იგი შესაძლებელია დაიდოს როგორც განუსაზღვრელი, ისე განსაზღვრული ვადით. მეუღლეები ასევე უფლებამოსილი არიან შეთანხმდნენ, რომ ხუთი წლის განმავლობაში მათი ქონება განცალკევებული საკუთრების რეჟიმის იქნება, ხოლო ამ ვადის გასლისთანავე ქონება მოექცევა საერთო-თანაზიარი საკუთრების რეჟიმში. ხელშეკრულებაში ამგვარ დათქმას შესაძლებელია მიზანშეწონილი ხასიათიც გააჩნდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეუღლეები არ არიან დარწმუნებულნი ქორწინების სტაბილურ ხასიათში.

საქორწინო ხელშეკრულება, ისევე როგორც ნებისმიერი შეთანხმება მხარეთა შორის, ნებელობითი აქტია. ამიტომ მისი დადება და შეწყვეტაც მეუღლეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ არის მითითებული კანონში იმის შესახებ, რომ საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა ან შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლის მეორე ნაწილი იმპერატიული ნორმაა,

რომლის მიხედვითაც ცალმხრივი უარ საქორწინო ხელშეკრულებაზე დაუშვებელია.

საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტის კანონი დადგენილი საფუძვლებია:

1. განქორწინება;
2. ხელშეკრულების ვადის გასვლა;
3. სსკ-ს 1179-მუხლის პირობების დაუკველობა
4. შემდგომში ბათილად ცნობილი ქორწინების რეგისტრაციამდე ხელშეკრულების დადება.

განქორწინების შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მასში გათვალისწინებული პირობები შესრულებულია. კანონი ასევე ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც მეუღლეებს შეუძლიათ ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ პირობები, რომელთა შესრულების ვალდებულება დგება განქორწინების შემდეგ პერიოდშიც. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ძალაში დირჩება იმ დრომდე, სანამ იარსებებს აღნიშნული ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა.

მეუღლეებს შეუძლიათ საქორწინო ხელშეკრულება გარკვეული ვადითაც დადონ ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად. მეუღლეებს ვადაგასული ხელშეკრულების გაგრძელება არ შეუძლიათ. მათ უფლება აქვთ, ასეთი სურვილის არსებობისას დადონ ახალი საქორწინო კონტრაქტი.

საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია შემდგომში ბათილად ცნობილი ხელშეკრულების რეგისტრაციამდე კანონის მიხედვით ითვლება ბათილად.

#### ნაწილი II

სამოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენას არაერთგვარი დამოკიდებულება გააჩნია საქორწინო ხელშეკრულების მიმართ.

რი  
ით

ობა;  
ების

ამი  
ება  
სში

ება.

ებს,

ათ

ები,

ება

ამ

ება

ლი

ინო

ნ.ამ

ება

ებს

არ

ლის

ინო

ლიც

ილი

ანის

ენას

წნია

ამ ნაშრომის მოსამზადებლად ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ასაკისა და მატერიალური შემოსავლის მქონე პირების სოციოლოგიური გამოკითხვა. მათი რაოდენობა 687 ადამიანს შეადგენდა. (გამოკითხვა ჩატარდა ქ. თბილისის უმაღლეს სასწავლებელში. (სტუდენტები, პროფესორები) რამდენიმე მსხვილ საწარმოში WS, GG&MW Co. N.V., TBC ბანკში და უბრალოდ ქუჩაში გამეღელენი).

აღნიშნულმა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ საქორწინო ხელშეკრულების შესახებ საზოგადოება საკმაოდ ცუდადაა ინფორმირებული.

გამოკითხულთა პასუხების მიხედვით გამოიყო სამი ძირითადი ჯგუფი. საინტერესოა, რომ დაყოფა მატერიალური შემოსავლის ოდენობის მიხედვით მოხდა. რესპოდენტები, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 300 ლარამდეა, 600 ლარამდე და 600 ლარის ზევით. პირველი ორ ჯგუფში სჭარბობდა ასეთი სახის პასუხი - "და რა მაქვს მე გასაყოფი?"

ასევე საინტერესოა მდებრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა პასუხები. გამოკითხვის შემდეგ გამოიკვია, რომ მდებრობითი სქესის წარმომადგენლები ბევრად უფრო პრაგმატულნი არიან თავიანთ მზახებში, ვიდრე საპირისპირო სქესის წარმომადგენლები, რომლებიც მიიჩნევენ - "თუ სიყვარულია, იქ კონტრაქტს არაფერი ესაქმება."

ასევე საინტერესოა დაქორწინებულ და დაუქორწინებულ რესპოდენტთა პასუხების არაერთგვაროვნება. დაუქორწინებულებს აქვთ სურვილი მიიღონ მეტი ინფორმაცია საქორწინო ხელშეკრულების შესახებ - 87%, ხოლო დაქორწინებულები თვლიან, რომ ეს სისულელეა - 74%.

მეტად პრაგმატული და ინფორმირებული აღმოჩნდა საზოგადოების ის უენა, რომელმაც

ერთხელ უკვე სცადა ოჯახის შექმნა. მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ვერ შეინარჩუნა იგი. განქორწინდა. განქორწინებულ პირთა 61% აქვს საკმაოდ ინფორმაცია საქორწინო ხელშეკრულების არსებობის, შინაარსის, მდებრების წესისა და რეგულირების სფეროს შესახებ, ხოლო 83% მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებას დაღებს მომავალში.

ამ ჯგუფებშიც მდებრობითი სქესის წარმომადგენლები სჭარბობენ - 76%.

დასკენის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქორწინო კონტრაქტის დამკვიდრები ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობა აღნიშნული კონტრაქტის არსისა და მნიშვნელობის შესახებ.

### ნაწილი III

დღესდღეობით, საქართველოში სულ დაღებულია 7 საქორწინო კონტრაქტი. აღსანიშნავია, რომ 5 მათგანში ერთ-ერთ მხარეს უცხო ქვეყნის მოქალაქე წარმომადგენს, ხოლო მათ სამშობლოში კი აღნიშნული კონტრაქტის არარსებობა პრობლემებს ქმნის მიწის ყიდვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში. ამგვარად, საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ ორი საქორწინო კონტრაქტია ისეთი, რომლის მხარეებზეც საქართველოს მოქალაქეები არიან.

რაგომაა ასე ცოტა? პასუხი ამ კითხვაზე უნდა ვეძებოთ ამ ნაშრომის მეორე ნაწილში მოცემულ დასკენაში და მით უფრო, უპირველეს ყოვლისა, მენგალობაში, რომელიც ჩამოყალიბებულია ერის ცნობიერებაში.

დღეს თუ ერთ-ერთი მხარე მეორეს დაქორწინებამდე შესთავაზებს საქორწინო ხელშეკრულების შედგენას, ეს შეურაცხყოფისა და უნდობლობის გოლფასია. მართალია, ჩვენ

უკვე ევროპის ნაწილი ვართ, მაგრამ ჩვენი ცნობიერების, მენტალობისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისა და გადაფასებისათვის ჯერ სულ მცირე დროა გასული.

ვამოკითხებმა ცხადჰყვეს, რომ სამოგადოებას აქვს სურვილი მოაწესრიგოს თავისი ქონებრივი ურთიერთობა ცივილიზებული გზით და არა ერთმანეთის შეურაცხყოფით სასამართლო სხდომაზე.

საქორწინო ხელშეკრულების მეოხებით, ჩვენ შეგვიძლია “განქორწინების სპექტაკლის” დადგმა, გათამაშება და დასრულება ადამიანის ფსიქიკაში, რის შედეგადაც ავიცილებთ განქორწინების შემთხვევაში „ვარდისფერ სამყაროში“ მოხვედრის პერსპექტივას და ყოველი ქმედება მეუღლეების მიერ ობიექტურად იქნება შეუასებელი.

რაც შეეხება მენტალობას, ეს დროისა და ინფორმაციული ვაკუუმის შევსების საკითხია. მხოლოდ თვით სამოგადოებას შეუძლია ხელი შეუწყოს აღნიშნული სამართლის ინსტიტუტის დამკვიდრებას საქართველოში.

#### დასკვნა

საქორწინო კონტრაქტი წარმოადგენს მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ალტერნატიულ საფუძველს, რომელიც შესაძლებელს ხდის, რომ მეუღლეებმა თვითონ განსაზღვრონ მათთვის

ხელსაყრელი სამართლებრივი რეჟიმის ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებ მთლიანად ან მის ცალკეულ ნაწილებზე.

საქორწინო კონტრაქტით მხარეები საშუალება ეძლევათ გამოაფინონ თავი ფალი ნება, რაც მომავალში მათი ქონებრივი ინტერესების დაცვის გარანტიად გვესახება.

ნაშრომის I, II და III ნაწილების შეჯერებულ წყალობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღესდღეობით არსებული სამართლებრივი საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი ჩვენს ცხოვრებაში მაგრამ იმავდროულად სამოგადოება არსებული დამოკიდებულება ინფორმირებულობის დაბალი დონე ხელის აღნიშნული ინსტიტუტის დანერგვა და განვითარებას, რასაც 1997-2003 წლებში დადებული ხელშეკრულებების რიცხვი (7 ცალკეულად) ადასტურებს.

\* \* \*

გიორგი გიორგის ძე თუმანიშვილი, ჯაფახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასპირანტი;

იგი 20-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი

## TABLE OF CONTENTS

Preface.....	3
G. TUMANISHVILI – The problem of a consolidation of marriage institute in Georgia.....	4
V. CHACHUA – Some of the institutional hindrances concerning the court system reform.....	11
I. PETRIASHVILI – For the improvement of Georgian financial-bugetary control.....	19
R. TABATADZE – Rights of others and reputation as one of the grounds of restriction of Freedom of Expression.....	26
N. GOGILIDZE – Modern problems of the law of geographical indications and appellations of origin in Georgia.....	32
R. AKHALAIA – Erga Omnes obligations, Jus Cogens norms and Actio Popularis in contemporary international law.....	41
T. SOKHADZE, R. JORBENADZE – The Possible Risk-factors Of the Drugaddiction and Several Methods Of Their Primary and Secondary Prevention.....	48
D. SUDADZE – The spreading of the endemic goiter in Georgia and the ways of prevention.....	52
I. SKHIRTLDZE, I. KILADZE – The role of initial public health system doctor training and prophylactic examination of inhabitants in the earlier diag-nose of oncological diseases.....	57
G. MAKHARADZE, Z. CHINCHARAULI, A. OMANADZE – Utility Function of Vectoral Argument and its Application.....	61
A. GUGUSHVILI – Cultural factor of economic development.....	66
G. SAMADASHVILI – Interfering reasons, problems of effective functioning of Lari and ways of their decision.....	74
N. KURDIANI – The Perspectives of Tax Decrease in Georgia.....	80
L. PACHKORIA, L. BLIADZE – Violence problem in Georgian Politics.....	87